პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 30 აგვისტო 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქის: ნინო ჭოლაძის,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბუაკოს“,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსი კოს“
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------ აგვისტოს №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქის ნინო ჭოლაძის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბუაკოს“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსი კოს“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნების (07.07.2023 წლის №004747623, 13.07.2023 წლის №004932323, 21.07.2023 წლის №005152423, 27.07.2023 წლის №005267823) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 50.0 (ორმაცდაათი) ლარს.

მუხლი 3. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონებები გამოყენებული იქნას მაგიდებისა და სკამების განთავსებისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს განკარგულების გამოცემის შემდგომ, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს
№ განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქის: ნინო ჭოლაძის,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბუაკოს“ და
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსი კოს“
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი

№	მოიჯარე	პირადი /საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი	საიჯარო ქირა 1კვ.მ-ზე თვეში (ლარი)	ვადა	შენიშვნა
1.	ნინო ჭოლაძე	60001015605	ქალაქი ქუთაისი, წმ. ნინოს ქუჩა №13-ის მიმდებარედ	ტროტუარი	9.0 კვ.მ.	03.03.21.308	50.00	(2025 წლამდე)	მაგიდების და სკამების განთავსების მიზნით
2.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბუაკო“	412763111	ქალაქი ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩისა და პუშკინის ქუჩის გადაკვეთა	ტროტუარი	4.8 კვ.მ.	03.03.26.299	50.00	4 (ოთხი) თვე	მაგიდების და სკამების განთავსების მიზნით
3.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბიბლუსი კო“	205254892	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №8 -ის დასავლეთით	ტროტუარი	8.32 კვ.მ.	03.03.21.419	50.00	4 (ოთხი) თვე	მაგიდების და სკამების განთავსების მიზნით

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი